

## განმარტებითი ბარათი

„დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“  
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია კანონში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება. კერძოდ, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პრიორიტეტი“ წარმოადგენს უპირატესობას, რომელიც აქვს განაცხადს მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით. შესაბამისად, საქპატენტის მიერ განაცხადისათვის პრიორიტეტის დადგენა ხდება აღნიშნული პრიორიტეტის თარიღით. ამდენად, კანონის მუხლებში გამოყენებული ფრაზა „პრიორიტეტის დადგენის თარიღი“ მიანიშნებს საქპატენტის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ქმედების განხორციელების თარიღზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პრიორიტეტის თარიღთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მუხლებში გამოყენებული ფრაზის – „პრიორიტეტის დადგენის თარიღი“ აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტერმინთან – „პრიორიტეტი“ შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მუხლებში გამოყენებული ფრაზის „პრიორიტეტის დადგენის თარიღი“ შეცვლა ტერმინით „პრიორიტეტი“. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ განაცხადს პრიორიტეტი უდგინდება განაცხადის შეტანის თარიღით, საგამოყენო ან საკონვენციო პრიორიტეტის თარიღებით. ამდენად, პრიორიტეტის თარიღი არ წარმოადგენს საქპატენტის მიერ განაცხადისათვის პრიორიტეტის დადგენის თარიღს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: კანონპროექტი არ მოითხოვს ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, კანონპროექტის მიღებას ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

